საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 2294-03
05/12/2023

**,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, „ციფრული ჰუმანიტარია“, „ისტორია“, „არქეოლოგია“, „კულტურის კვლევები“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“, და „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია“ 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის N2227-03 15/11/2023 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ მე-5 და მე-6 მუხლების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მ/შ 2023 წლის 4 დეკემბრის N21342-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1.შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, „ციფრული ჰუმანიტარია“, „ისტორია“, „არქეოლოგია“, „კულტურის კვლევები“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“, და „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია“ 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის N 2227-03 15/11/2023 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N2 და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

ბ) ბრძანების მეექვსე პუნქტის შემდეგ დაემატოს $6^1$ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,$6^1$. ინგლისური ენის B2 დონის გამოცდის მინიმალური ბარიერია 55 ქულა. კანდიდატები, რომლებიც ვერ გადალახავენ აღნიშნულ ბარიერს, კარგავენ კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას“.

2. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი